საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებულისექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი #5
31.03.2015

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს" სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**31 მარტი, 2015წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე
მიხეილ ჯანელიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
დავით გალეგაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ნინო ნარეშელაშვილი	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის (AMC) დირექტორთა საბჭოს წევრი
თამარ მახარაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
გიორგი მაჩაბელი	სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
გიორგი დიდიძე	რეფორმების და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ანა მარტინენკო	მთავარი სპეციალისტი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
გოჩა ალექსანდრია	ა(ა)იპსაქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელი

დამკვირვებლის სტატუსის მქონე საბჭოს წარმომადგენლები	
დევიდ ჰენდლი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველო (MCA) პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ხელმძღვანელი
ნოდარ სურგულაძე	ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA) უმაღლესი განათლების პროექტის დირექტორი
მარიტა რიდელი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) პროგრამა „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ რეგიონული დირექტორი
ირაკლი შურღულაია	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) პროფესიული კვალიფიკაციისექსპერტი
შეიდელ კრიშენი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენელი
გიორგი ნანობაშვილი	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia) ეკონომიკური განვითარების გუნდის უფროსი
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ვულფ შმიდერი	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი
თამარ ქიტიაშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ელზა ჯგერენაია	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ირინა წეროძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
გიუნტერ დივალდი	პროფესიულიგანათლებისექსპერტი
ნათია გვირჯიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ანა დიაკონიძე	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის შრომის ბაზრისა და დასაქმების ადგილობრივი ექსპერტი
ლელა მაისურაძე	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი

საბჭოს სხდომის მდივანი	
ქრისტინა გოროდნიჩევა	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი #1	ფასილიტატორი/მომხსენებელი
მოხსენება 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული,განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.	თამარ ქიტიაშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი; ელზა ჯგერენაია, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი.
საკითხი #2	
პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ტექნიკური მხარდაჭერის პროექტით გათვალისწინებული აქტივობების მიმოხილვა (2015 წელი).	ვულფ შმიდერი, საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერი, შრომის ბაზრის ექსპერტი.

,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მომხსენებლებს სთხოვა, წარმოედგინათ პრეზენტაცია პროექტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" 2015 წლის პოლიტიკის მატრიცის გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა თამარ ქიტიაშვილმა დეტალურად ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ, კერძოდ მან ხაზი გაუსვა 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებულ მე-2 კომპონენტის პირობის ,,პროფესიული განათლების სისტემის მიერ მინიჭებული უნარები/კვალიფიკაციები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის საჭიროებებთან'' ინდიკატორის შესრულებას. მისივე თქმით, ორი ახალი კურიკულუმის (მოდულური მიდგომის შესაბამისად) ნაცვლად, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და დამტკიცებულ იქნეს პასუხისმგებელი უწყების მიერ, მიმდინარე წელს დაგეგმილია ბევრად მეტი კურიკულუმის დანერგვა და ამასთან 50 ახალი კურიკულუმისათვის შემუშავებულია მინიმალური ტექნიკური

აღჭურვილობის ნორმატივები, რომელთა ვალიდაციას განახორციელებს დარგობრივი საბჭო, რომლის ფორმირებაც ამჟამად მიმდინარეობს.

რაც შეეხება, 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებულ შემდგომ პირობას - პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხს, ქ-ნმა თამარმა აღნიშნა, რომ 2014 წელს საქართველოს მთავრობის მერ დამტკიცებული ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და განვითარების კონცეფციის" საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმით ხორციელდება აქტივობები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მასწავლებლთა პროფესიული განვითარება ორი მიმართულებით. პირველი მიმართულება წარმოადგენს პედაგოგიური შესაძლებლობების განვითარებას, რისთვისაც შემუშავდება პედაგოგიური მოდული და უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებელთა ტრენინგი. ხოლო მეორე მიმართულებას წარმოადგენს დარგობრივი კომპეტენციების განვითარება დადაგეგმილი 50-მდე კურიკულუმის ფარგლებში მასწავლებლებისათვის შეთავაზებული იქნება ტრენინგი დამსაქმებელთან.

ქ-ნმა თამარმა ისაუბრა საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან დაკავშირებით. მისივე თქმით მოხდა საკვალიფიკაციო ჩარჩოს გადახედვა და მომზადდა ახალი პროექტი, რომელიც მოიცავს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების კომპონენტს. აღნიშნული დოკუმენტის განხილვა მიმდინარე წელს იგეგმება.

დღის წესრიგის შესაბამისად, ქ-ნმა ელზა ჯგერენაიამ ისაუბრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ.

ქ-ნმა ელზა ჯგერენაიამ ხაზი გაუსვა შრომის ბაზრის კვლევის მიმდინარეობას, მისივე თქმით პილოტური კვლევა დასრულებულია და მიმდინარე წლის მარტის თვიდან მიმდინარეობს საველე სამუშაოები. დამატებით ქ-ნმა ელზამ დასძინა, რომ შრომის ბაზრის კვლევის პირველადი მონაცემები მიმდინარე წლის მაისის თვეში იქნება წარმოდგენილი, ხოლო კვლევის დასრულებისას შრომის ბაზრის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვკვეთოთ მოთხოვნადი პროფესიები, კვალიფიკაციები და შრომის ბაზრის დინამიკა, რაც დაეხმარება მთავრობას განათლების მიზანმიმართული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, ხოლო სამუშაოს მაძიებელს-კარიერული განვითარების სწორად დაგეგმვაში.

2015 წლის პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ქ-ნმა ელზა ჯგერენაიამ აღნიშნა, რომ შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში მიმდინარეობს მუშაობა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კონცეფციის პროექტზე.

ქ-ნმა ელზამ ისაუბრა ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებულ პროექტზე და აღნიშნა, რომ დაგეგმილია მისი წარდგენა პროექტის შემუშავებაში ჩართულ უწყებებთან შენიშვნებისა და კომენტარებისათვის.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა დღის წესრიგის მეორე საკითხის განსახილველად სიტყვა გადასცა საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ჯგუფის ლიდერს ბ-ნ ვულფ შმიდერს.

ბ-ნმა ვულფ შმიდერმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტი და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები. მისივე თქმით, აღნიშნული პროექტის განხორციელების ზედამხედველობის მიზნით შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომლის პირველი შეხვედრა გაიმართება მიმდინარე წლის 7 აპრილს. ასევე, ბ-ნმა ვულფმა აღნიშნა, რომ პროექტში მონაწილე ექსპერტების მიერ მომზადებულია ანგარიში, რომელიც გასაცნობად გადაგზავნილია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან. დამატებით ბ-ნმა ვულფმა დასძინა, რომ საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი www.eu-ve.ge, რომელზეც განთავსებულია პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა მადლობა გადაუხადა ბ-ნ ვულფს დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის და დამატებით სურვილი გამოთქვა გაზიარებულიყო ბ-ნ ვულფის მიერ აღნიშნული პირველადი ანგარიში „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის, რათა მათ მიიღონ დეტალური ინფორმაცია, მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცდება მიმდინარე წლის 7 აპრილის სამეთვალყურეო საბჭოს პირველ შეხვედრაზე.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მოიწონა ქ-ნი ნინო ყოჩიშვილის წინადადება და აღნიშნა, რომ პირველადი ანგარიშის დამტკიცების შემდგომ მოხდებოდა მისი გაზიარება ელექტრონული ფოსტით სექტორული საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან. დამატებით საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილს სთხოვა, უზრუნველეყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის ვებ-გვერდის ბმულის განთავსება.
ბ-ნმა დავით გალეგაშვილმა თხოვნით მიმართა ქ-ნ ნინო ყოჩიშვილს, გაეზიარებინა ინფორმაცია ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების შესახებ და მიმართა კითხვით, თუ რამდენად არის მზად კერძო სექტორი იმისათვის, რომ დაასაქმოს სახელმწიფოს მიერ მომზადებული/გადამზადებული პროფესიონალები. მისივე თქმით ამის შესაფასებლად აუცილებელია ბიზნეს ასოციაციებთან ურთიერთობა.

ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა ბ-ნი დავითის კითხვის საპასუხოდ აღნიშნა, რომ საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტი ხელს შეუწყობს მოთხოვნა - მიწოდების საჭიროებების თანხვედრის მექანიზმის შექმნას. დამატებით ქ-ნმა ნინომ დასძინა, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში განსხვავებული მდგომარეობაა ზემოაღნიშნული მიმართულებით.

ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი გამოეხმაურა ბ-ნ დავით გალეგაშვილის კითხვას და მხარი დაუჭირა საინფორმაციო უწყებათაშორის ფორმატში შეხვედრის ჩატარების იდეას.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა.

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''სხდომის თავმჯდომარე

ქეთევან ნატრიაშვილი

,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' სხდომის მდივანი:

ქრისტინა გოროდნიჩევა